ეკა ბუხრაშვილი

# ევროპის სოციალური პოლიტიკა

## სალექციო კურსი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2017

*დაფინანსებულია ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ*

რედაქტორი **იგორ კვესელავა**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტი: **ნანა ბახსოლიანი**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

© ე. ბუხრაშვილი, 2017

გამომცემლობა „უნივერსალი", 2017
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-072-8

## შინაარსი

## I თავი - სოციალური პოლტიკის ისტორიიდან

შესავალი ........................................................................ 7

1. სოციალური პოლიტიკა როგორც სისტემა.................. 9

2. სოციალური ჯგუფები, როგორც პოლიტიკის სუბიექტები. სოციალური სტრატიფიკაცია;............... 11

3. სოციალური მობილურობა და დეკომპოზიცია ............. 13

4. ჯგუფების როგორც პოლიტიკური სუბიექტის თვითორგანიზაცია. ჯგუფური ინტერესების არტიკულირების და აგრეგირების პროცესი ............. 15

5. წარმომადგენლობითი სტრუქტურების ფორმირება.... 17

6. სოციალური სტრუქტურის დინამიკა თანამედროვე მსოფლიოში;........................................................ 19

7. სოციალური პოლიტიკის ფუნქციები, ინსტრუმენტები და ძირითადი ამოცანები ................. 21

8. სოციალური პოლიტიკის შინაარსი: სოციალური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი სფეროები. სოციალური დაცვის ეფექტები ............... 32

9. სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის არსი ...................................... 40

10. სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები. სახელმწიფოს როლი სოციალურ პოლიტიკაში;................................................ 44

11. სოციალური პოლიტიკის ძირითადი არასახელმწიფო სუბიექტ-ინსტიტუტები................................................... 60

12. თანამედროვე სოციალური მოძრაობები ..................... 62

## II თავი - ევროკავშირის ქვეყნები და სოციალური პოლიტიკა


13. ევროკავშირის ისტორიული განვითარება; ................. 69

14. სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. სოციალური პოლიტიკის ფორმირება (ევროკავშირის ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემების თანამედროვე მდგომარეობა; ევროკავშირის ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემების კონვერგენცია)........................................... 91


## თავი III. საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის პერსპექტივები


15. საქართველოში სოციალური დაცვის სისტემის თანამედროვე მდგომარეობა ........................................ 115

16. საქართველოში სოციალური დაცვის სისტემის განვითარების პერსპექტივები ..................................... 122

17. ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში ................................................................ 126

18. ეკონომიკური-რეფორმები „ვარდების-რევოლუციის“ შემდეგ........................................................................ 128

19. ეკონომიკური რეფორმების იდეოლოგიური საფუძველი.......................................................................... 130

20. მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი.......... 132

21. ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში ................................................ 133

22. სოციალური რისკების დაზღვევის ფუნქციების განაწილება სტრუქტურულ ერთეულებს შორის........ 149

## თავი IV - სოციალური პოლიტიკა შრომითი ურთიერთობის სფეროში

23. ბაზარი, მისი სტრუქტურა, საბაზრო ურთიერთობე-ბის ფორმა, ბაზრების ტიპი........................................... 151
24. შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა ............................ 153
25. თანამედროვე შრომის ბაზრის მდგომარეობა ............ 163
26. მსოფლიო მეურნეობის სუბიექტები და შრომის საერთაშორისო დანაწილება ........................................ 169

## თავი V - სოციალური პოლიტიკა უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების რეგულირების სფეროში

27. უმუშევრობა: სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, ძირითადი სახეები, შემცირების გზები ........................ 182
28. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. უმუშევრობის ეკონომიკური შედეგები........................ 188
29. უმუშევრობის სოციალური შედეგები. ........................ 191
30. უმუშევრობის შემცირების გზები. ................................ 193
31. ევროკავშირის დასაქმების პოლიტიკა ........................ 197
32. დასაქმების პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში. .. 201
33. სახელმწიფოს სოციალური გარანტიები და შრომის ნაყოფიერების როლი მათ რეალიზაციაში................... 203
34. შრომის ნაყოფიერება და დასაქმება. ........................ 207

## თავი VI. ევროპული განათლების ახალი მოდელი


35. ევროპული განათლების ახალი მოდელი ...................... 211
36. ევროკავშირის უწყვეტი განათლების მემორანდუმი .................................................................. 217
37. უწყვეტი განათლების 6 საკვანძო პრინციპი................ 225

# I თავი - სოციალური პოლტიკის ისტორიიდან

## შესავალი

უძველესი დროიდან ყველა სახელმწიფო ატარებდა სოციალურ პოლიტიკას საზოგადოების სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სტაბილიზაციის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ამ დამოკიდებულების საფუძველია ისტორიული შეხედულებანი სამართლიანობასა და თანასწორობაზე, რომლებიც საზოგადოების კულტურულ ღირებულებებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციებსა და ჩვეულებებებებშია გამტკიცებული და დაცული.

თეორიულ პლანში ტერმინი „სოციალური პოლიტიკა“ წარმოადგენს ადამიანთა მოღვაწეობის სფეროს, დაკავშირებულს სახელმწიფო სუბიექტებთან, რომელთა მოქმედება მოწოდებულია უზრუნველყოს მათი უსაფრთხო და სტაბილური ცხოვრება. პრაქტიკულ პლანში სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს სუბიექტების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია სოციალური განვითარების სტრატეგიის ფორმირებისაკენ. ის მოწოდებულია შექმნას საზოგადოებრივად მისაღები პირობები ადამიანთა შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის.

დიდაქტიკურ პლანში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური პოლიტიკის გაგებას როგორც სისტემას, რამდენადაც საზოგადოებისათვის ზოგადად დამახასიათებელია მისი წარმომქმნელი სტრუქტურული ელემენტების კავშირისა და ურთიერთობის არსებობა, რაც ქმნის გარკვეულ ორგანიზებულობას და სისტემურობას. სოციალური პოლიტიკა საზოგადოების სოციალური სტრუქტურების ძირითადი ელემენტების ურთიერთობას ახასიათებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შენარჩუნებისა და შეცვლის თვალსაზრისით.